# ხელშეკრულება №-64

28 იანვარი 2016 წელი

ქ. თბილისი

შპს. "ახალი განთიადი," (ს/კ №232557989) შემდგომში "დამკვეთად" წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის, ნანა მერებაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე ერთი მხრივ და შ.პ.ს. გამომცემლობა "კოლორი" (ს/კ №208149859) შემდგომში "შემსრულებლად" წოდებული წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ჟორჟოლიანის სახით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი GPV - 79800000.

1.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად "შემსრულებელი" შ.პ.ს. გამომცემლობა "კოლორი" იღებს ვალდებულებას დაბეჭდოს და გადასცეს დამკვეთს საკუთრების უფლებით განსაზღვრული საგამომცემლო პროდუქცია - გაზეთი "ახალი განთიადი," ხოლო დამკვეთი ვალდებულია მიიღოს "პროდუქცია" და გადაუხადოს შემსრულებელს შეთანხმებული საზღაური.

1.2 ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ტრანსპორტირების მომსახურება.

1.3. შემსრულებელი პროდუქციის შეკვეთილი ნომერის ყოველი ეგზემპლარის დაბეჭდვას უზრუნველყოფს შემდეგი ტექნიკური პარამეტრების დაცვით:

1.3.1. ფორმატი – A 3

1..3.2. გვერდების რაოდენობა - 10, მათ შორის პირველი და მეათე გვერდი (4+4), ხოლო დანარჩენი გვერდები (1+1)

## 2. საქონლის მიწოდების (მომსახურების გაწევის) წესი, ვადები და ღირებულება

2.1. მომსახურება განხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება თორმეტი თვით შეადგენს 4990 (ოთხიათას ცხრაასოთხმოცდაათი) ლარს.

## 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.3. შემსრულებელმა ანგარიშსწორებისათვის უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები.

## 4. მხარეთა ვალდებულებები:

4.1. "დამკვეთი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.2. დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე.

4.2. "შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1 გაზეთი "ახალი განთიადი" გამოცემისთანავე, შეკვეთილი რაოდენობა დროულად მიაწოდოს რედაქციას.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნასთან.

6.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს რედაქტორი.

6.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.